

პროფესიული CURRICULUM VITAE

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ირინე კვაჭაძე

თანამდებობა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

დაბადების თარიღი – 1962 წლის 5 თებერვალი,

დაბადების ადგილი – თბილისი

სასწავლო, სამეცნიერო-პედაგოგიური და ადმინისტრაციული აქტივობა:

1978-1984წწ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი, სახელობითი სტიპენდიატი;

1984-1987წწ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტი;

1987 წლიდან – დღემდე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (1992 წლიდან - უნივერსიტეტის) ფიზიოლოგიის კათედრის (დეპარტამენტის) სტაჟიორ-ასისტენტი, ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, სრული პროფესორი, პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

1992-2009 წწ. – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელი; სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის სამსახურის უფროსი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის ხელმძღვანელი.

2009 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

1997-2000 წ.წ – საქართველოს ივ.ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს წევრი;

1997-2002 წწ. - საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი.

2013 წლიდან - საქართველოს ივ.ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

სამეცნიერო-პედაგოგიური კარიერა:

1988 წ. – დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, სადისერტაციო თემა: `ჭაბუკთა გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეაქციის თავისებურებანი ფსიქოემოციურ დატვირთვაზე სხვადასხვა კვებითი მდგომარეობის დროს~ (დისერტაცია შესრულებულია პროფესორ არჩილ ასათიანის ხელმძღვანელობით).

1997 წ. – დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, სადისერტაციო თემა: `ფიზიოლოგიურ ფუნქციათა ურთიერთქმედების თავისებურებანი ქალის ორგანიზმში~ (სამეცნიერო კონსულტანტი – პროფესორი არჩილ ასათიანი).

მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 5 საკანდიდატო დისერტაცია, არის 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 1 მონოგრაფიის და 4 სახელმძღვანელოს ავტორი/რედაქტორი.

1999 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება;

2014 წლიდან – სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიის ტრენინგის (თსსუ) მოდულის განმხორციელებელი.

სამეცნიერო ინტერესების სფერო:

ფიზიოლოგიურ ფუნქციათა და მათი სარეგულაციო მექანიზმების ურთიერთთანამოქმედება ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა მეტაბოლური და ჰორმონული სტატუსის პირობებში; ტკივილის სენსორული სისტემის გენდერული და ფსიქოფიზიოლოგიური კორელატები.